50

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„27“ 12 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური აუდიტის ანგარიში

№ 26/00

01/04/2006-31/12/2009

სარჩევი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა 3

წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა 4

ფინანსური ანგარიშგება 7

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა 15

სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 28

სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან 30

შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 7 ივნისის N 61/43, 2010 წლის 12 ივლისის N76/43 და 2010 წლის 16 აგვისტოს N84/43 გრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32; ტელ: 832 935696; ფაქსი 832 920938.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი - გია ტუხაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი 2010 წლის 27 ივლისამდე), აუდიტორი - მანანა დავითური (ჯგუფის ხელმძღვანელი 2010 წლის 16 აგვისტოდან), უფროსი აუდიტორი - მაია ქობალია, აუდიტორები: სოსო ჩიქობავა და ნოდარ ავლახაშვილი, აუდიტორ-ასისტენტი თამთა მელქაძე.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 5 აგვისტოს №111/42 გრძანების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისას გაწეული ხარჯების რეალობის დადგენის მიზნით, დაინიშნა ექსპერტიზა შერჩევითი აზომვების ჩასატარებლად. ექსპერტიზის ჩატარება დაევალათ კონტროლის პალატის ექსპერტიზის სამსახურის მთავარ სპეციალისტებს: ბაკურ მატიაშვილს, მამუკა გონაშვილს და ზურაბ ბაღაშვილს.

აუდიტის ვადა- 07/06/2010 –30/08/2010

შემოკლებანი

იუსტიციის საბჭო - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
დეპარტამენტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ექსპერტიზის ბიურო - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზი სეროვნული ბიურო

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

დეპარტამენტი შექმნილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის თანახმად. იგი არის იუსტიციის საბჭოსთან არსებული დამოუკიდებელი სტრუქტურული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საერთო

სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. დეპარტამენტის დებულება, საშტატო ნუსხა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები დამტკიცებულია იუსტიციის საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/205-2007 გადაწყვეტილებით. დეპარტამენტის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იგი ანგარიშვალდებულია იუსტიციის საბჭოსა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე. დეპარტამენტი თავისი საქმიანობისა და ამოცანების განხორციელების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში:

უზრუნველყოფს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას;

სასამართლოთა მოთხოვნისა და იუსტიციის საბჭოს დავალების საფუძველზე უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებისათვის საკანონმდებლო სიახლის დროულად მიწოდებას, იურიდიული ლიტერატურისა და სხვა მასალის გამოცემას, სტატისტიკური კრებულების/ბიულეტენების გამოცემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სტატისტიკური მასალების გამოქვეყნებას;

საერთო სასამართლოთა საქმიანობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა გეგმიურ განაწილებას, განკარგვასა და მათ ხარჯვაზე კონტროლს;

საერთო სასამართლოების ფუნქციონერებისათვის ახორციელებს აუცილებელი სხვა ღონისძიებების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წინა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური რევიზია, მოიცავდა 2003 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 აპრილამდე პერიოდს, რაზედაც შედგენილია საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 25 სექტემბრის N479/47 აქტი. რევიზიით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ დეპარტამენტის მიერეცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 2006 წლის 22 დეკემბრის N2986 წერილით.

წინა რევიზიით გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის დარღვევები:

- 2005 წელს ადგილი ქონდა დეპარტამენტის საწყობის გაქურდვის ფაქტს (აღძრულია სისხლის სამართლის საქმე).

- დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 18 ნოემბრის N190 ბრძანებით,დეპარტამენტში მატერიალური ფასეულობების დაცვისა და თანამშრომელთა მხრიდან შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის მიზნით დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობასა და საწყობში დაყენებულ იქნა სამეთვალყურეო კამერები.

▪ დარღვეული იყო "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 28-ე და 29-ე მუხლების მოთხოვნები (სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესატანი მოთხოვნების თაობაზე).

- დეპარტამეტის მიერ ხელშეკრულებების გაფორმებისას გათვალისწინებული იქნა მხარეთა პასუხისმგებლობა,ხელშეკრულების კონტროლის საკითხები და ა.შ.,თუმცა რიგ შემთვევებში კვარტალური ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დაგვიანებით და არ არის მითითებული შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებები და ასვე ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

▪ საგადასახადო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით,საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე ურთიერთშედარებისას დადგინდა,რომ 3 მომწოდებელ ორგანიზაციას არ ჰქონდა ჩაბარებული(წარდგენილი) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები დაბეგრვაზე.

- 2008 წელს ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენსა" და შპს „ER გრუპის" მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებს (ფორმა N2) არ ახლავს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები.

- ხელშეკრულების პირობის დარღვევით, კაპიტალური ხარჯების მუხლით შპს "რიონპლასტს" 2005 წლის 22 დეკემბერს ჩაერიცხა 22.1 ათასი ლარი,ისე რომ სარევიზიო პერიოდში -2006 წლის 1 აპრილამდე არ განხორციელებულა მატერიალური ფასეულობების მოწოდება და იმავე პერიოდის მდგომარეობით მასზე ირიცხებოდა 22.1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც დაფარულია 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რაც შეეხება, დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თემატური შემოწმებების შედეგებთან დაკავშირებით, წარმოდგენილია დეპარტამენტის თათბირის სხდომის ოქმები დეპარტამენტში გასატარებელი ქმედითი ღონისძიებებთან დაკავშირებით.

აუდიტის პერიოდში კვლავ ჰქონდა ადგილი ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი წესების, ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ფაქტებს, რაც ასახულია აუდიტის აქტში.

ძირითადიტექსტი

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ბალანსების დანართ ფორმა N2-ში სრული მოცულობითაა ასახული ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებები, მაგრამ ბალანსები შედგენლია სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ საბალანსო ელემენტების (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის) გაუთვალისწინებლად.

წლიური საბიუჯეტო კანონებით, საერთო სასამართლოებითვის (და არა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთვის) როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდით (09 00) განსაზღვრული ასიგნებები მოიცავდა საერთო სასამართლოებისა (09 02) და სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ (09 03) ასიგნებებს. ამდენად, მხარჯავი დაწესებულების მიერ ნაერთი ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს როგორც საბალანსო ერთეულის - სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ მონაცემებსაც.

შესაბამისად წლების მიხედვით ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები არასრულია.[1]

2008 წლის 1 იანვრიდან ბუღალტრული აღრიცხვის ახალ ანგარიშთა გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელებულია 2008 წლამდე მოქმედ ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დეტალური ანალიზი (კონვერსიის მიზნებისთვის) და ნაშთების ახალ ანგარიშებზე გადატანის ოპერაციები, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით. შესაბამისად, 2006–2009 წლების ფინანსურმა ანგარიშგებამ შემდეგი სახე მიიღო:

---

[1] აღნიშნული ქმედებით დარღვეულია აუდიტის პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც მხარჯავი დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან შემოსულობებისა და გადასახდელების აღრიცხვაზე, კონტროლზე და ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებთან მათ შესაბამისობაზე. ასევე შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მე-2 და მე-2[1] მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა პერიოდული და წლიური ანგარიშგებები უნდა წარუდგინონ ზემდგომ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოებს. ასევე არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტების მოთხოვნები. აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

ფინანსური ანგარიშგება

საბალანსო ანგარიშგება

ათას ლარებში

	შენიშვნა	31/12/09	31/12/08	31/12/07	31/12/06
ფინანსური და არაფინანსური აქტივები და					
სხვა დებიტორული დავალიანებები					
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1	1,271.3	558.4	212.8	1,818.1
მოთხოვნები მივლინებით	1	0.01	0.4	0.4	0.5
ანგარიშვ.პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1	-	16.1	16.1	16.1
შენობა-ნაგებობები	2	17,591.5	12,753.0	12,107.4	9,670.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	2	7,691.9	5,853.7	10,952.1	8,630.4
სხვა ძირითადი აქტივები	2	615.3	1,206.3	751.1	707.1
დაუმთავრებელი მშენებლობა	2	943.2	-	-	-
სხვა მატერიალური მარაგები	3	1,626.8	1,255.0	2,026.3	1,460.7
არაწარმოებული აქტივები	2	853.6	419.6	543.9	-
ბიუჯეტიდან გაწეული მიმდინარე ხარჯები		-	-	-	298.8
სულ აქტივები		**30,593.6**	**22,062.5**	**26,610.1**	**22,601.8**
ვალდებულებები და კაპიტალი					
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1	244.2	376.8	165.9	-
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1	4.5	7.4	7.1	-
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	1	88.3	88.3	88.3	-
გადასახ. საწევრ. და ერთჯ. შენატანები	1	8.1	8.1	8.1	-
ვალდებულებები მივლინებით		0.1	-	-	0.2
ანგ.აღმასრ.ფურცლით და სხვა დაკავებები					2.9
ბიუჯეტიდან დაფინანსება მიმდინარე ხარჯებისათვის		-	-	1,986.2	3,331.7
ძირითადი საშუალებების ფონდი		-	-	15,139.4	10,401.1
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-	-	9,215.1	8,606.5
წმინდა ღირებულება	4	30,248.3	21,581.9	-	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**30,593.6**	**22,062.5**	**26,610.1**	**22,601.8**

2006 წლის წლიური ბალანსის საწყისი და საბოლოო ნაშთი „ბიუჯეტიდან გაწეული მიმდინარე ხარჯების“ ანგარიშზე(N200 საბ. ანგარიში)შეადგენდა 298.8 ათას ლარს, ამავე პერიოდში „ბიუჯეტიდან დაფინანსება მიმდინარე ხარჯებისათვის“ ანგარიშზე(N230 საბ. ანგარიში) ასახულია 1,264.8 ათასი ლარი. აღნიშნული ანგარიშები წლის ბოლოს ექვემდებარებოდა გადახურვას, რაც დეპარტამენტის მიერ არ განხორციელებულა და შედეგად ნაშთები 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში ერთმანეთს არ ედრება. როგორც გაირკვა, აღნიშნული ნაშთი (298.8 ათასი ლარი) მომდინარეობს 1999-2003 წლებიდან და მხოლოდ 2007 წლის დასაწყისში მოხდა კორექტირება. ასევე, არასწორად იქნა ასახული 2006 და 2007 წლებში განხორციელებული 12,623.1ათასი ლარის სასამართლოს შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარე ხარჯების ანგარიშზე, ნაცვლად

ბიუჯეტიდან გაწეული კაპიტალური ხარჯების ანგარიშისა (202 საბ. ანგ.)[2]. აღნიშნული საკითხი განხილულია შენიშვნა 2-ში.

შენიშვნა 1 - დებიტორები და კრედიტორები

ფინანსური ანგარიშგებებისა დადებიტორ - კრედიტორული დავალიანებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2006 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე მოთხოვნები გაზრდილია და შეადგინა 1,271.3 ათასი ლარი. აქედან 1,153.7ათასი ლარი წარმოადგენს სხვადასხვა მომწოდებლებისათვის „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით წინასწარ გადახდილ თანხას, რომელთა გადახდის ვადა იწურებოდა 2010 წლის თებერვალს, მაისსა და ივნისში.

დებიტორული დავალიანებების ცვლილება:

ათას ლარებში

მოთხოვნები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით	31/12/2009	31/03/2006
შრომის ანაზღაურება	-	0.2
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	1.4	1.0
ოფისის ხარჯი	18.5	30.1
არაფინანსური აქტივები	1,251.4	951.8
ანგარიშვალდებული პირის მიმართ	-	18.3
მივლინებებით	-	1.5
სულ	**1,271.3**	**1,002.9**

კრედიტორული დავალიანება აუდიტის პერიოდში შემცირებულია 30.8 ათასი ლარით და 2009 წლის31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 345.4 ათას ლარს. მათ შორის,101 ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს 1998-2004 წლებიდან (აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახელფასო დავალიანებებს - მთლიანი დავალიანების 29%-ს).

ათას ლარებში

ვალდებულებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით	31/12/2009	31/03/2006
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	1.0	1.3
სხვა დანარჩენი საქ. და მომსახურება (ექსპერტიზა, ბ/ქირა)	99.1	18.7
ოფისის ხარჯი	17.1	175.3
მივლინებები	-	2.7
არაფინანსური აქტივები	127.2	76.6
გადასახდელი ხელფასები, საშემოსავლო და სხვა ვალ-ები	101.0	101.7
სულ	**345.4**	**376.3**

[2] დარღვეულ იქნასაქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკენბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ " 35-ე მუხლის მე-11, მე-13, მე-14 და მე-15 ქვეპუნქტების მოთხოვნა.

109.8 ათასი ლარისდებიტორული დავალიანება მომდინარეობს 2001-2006 წლებიდან, ხოლო 151.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება - 1999-2007 წლებიდან.

აუდიტის პერიოდში ყოველი წლის ბოლოს, მოქმედი წესის შესაბამისად, არ ჩატარებულა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია,[3]რის გამოცდეპარტამენტის მიერ დავალიანებათა დაფარვისათვის საკმარისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.[4]

ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი ჰქონდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღურიცხაობის ფაქტებს. არ წარმოებდა წლის ბოლოს წარმოშობილი ვალდებულებების დარიცხვა, რომელთა აღიარება ხდებოდა მომდევნო წელს გადახდის მომენტში, ასევე არ ხდებოდა წინასწარ გადახდილი თანხებით მოთხოვნების აღიარება, რაც იწვევდა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უზუსტობებს[5].

არასწორადაა ასახული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები იმ მომწოდებლებთან, რომლებთანაც ანგარიშსწორება წარმოებსკომუნალური ხარჯების ქვემუხლით. კერძოდ, 2007 წლის ბოლოს კრედიტორულ დავალიანებად უნდა აღიარებულიყო 42.5 ათასი ლარი.ანალოგიური მდგომარეობაადანარჩენ წლებთან მიმართებაშიც. ზოგ შემთხვევებში ფასეულობების შემოსავალი და გასავალი აღრიცხულია დაგვიანებით, რის შედეგადაც შესაბამის პერიოდის ანგარიშგებაში ასახული მონაცემები მატერიალური ფასეულობებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შესახებ არარეალურია.

მაგალითად: 2006 წლის 31დეკემბრისთვის რიცხული დებიტორული დავალიანებებიდან შპს„დიოს"ერიცხებოდა 68.4 ათასი ლარი, ნაცვლად 34.4 ათასი ლარისა. აღნიშნულ შპს-ს 2006 წლის ოქტომბერში მოწოდებული ჰქონდა 34.0 ათასი ლარის საქონელი, რაც საწყობის შემოსავალში აისახა 2007 წლის იანვარს, 2 თვის დაგვიანებით. 2009 წლის ბოლოს სს „საქპრესის"-თვის წინასწარ გადახდილია 11.9 ათასი ლარი, რომლის დამოწმებაც

---

[3]დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 გრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების მე-13 მუხლის, მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

[4]დამატებითი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად (გამჭვირვალეობის მიზნით) საანგარიშგებო წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი დაუფარავი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება შესაძლებელია აღრიცხულიყო ბალანსის ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში - ვადაგადაცილებული დავალიანების „09" ანგარიშზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 გრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" 71-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად. ასევე, ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა უნდა განხორციელდეს ამავე ინსტრუქციის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

[5]აღნიშნული ქმედებით არ არის დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 გრძანებულებით დამტკიცებული „ბუღლტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ" დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

განხორციელდა 12 დღის დაგვიანებით (15/03/2010). აღნიშნული თანხა 2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორულ დავალიანებად არ ასახულა.

შენიშვნა 2 - ძირითადი და არაწარმოებული აქტივები

აუდიტის პერიოდში სარეკონსტრუქციო სამუშაოების გათვალისწინებით არ ხორციელდებოდა სასამართლოს შენობების კაპიტალიზაცია და მათი ბალანსზე ასახვა შესაბამისი ღირებულებით, რის შედეგადაც ბალანსზე რიცხული ქონება შემცირებულია 12,623.1 ათასი ლარით.

ფინანსური ანგარიშების მიხედვით, 2006 და 2007 წლებში შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები დეპარტამენტის მიერ აღირიცხებოდა „ბიუჯეტიდან გაწეული მიმდინარე ხარჯების" ანგარიშზე (200 სუბანგარიშზე), ნაცვლად„ბიუჯეტიდან გაწეული კაპიტალური ხარჯების" ანგარიშისა (202 სუბანგარიშისა), რის შედეგადაც აღნიშნულ პერიოდში სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების კაპიტალიზაცია ან/და დაუმთავრებელ მშენებლობის ანგარიშზე ასახვა არ განხორციელებულა.

კერძოდ, 2006 წელს სასამართლოს შენობების რეკონსტრუქციაზე გაწეულია 4,560.4 ათასი ლარისხარჯი, 2007 წელს 8,062.7 ათასი ლარის ხარჯი, სულ 2006 და 2007 წლებში გაწეულია 12,623.1 ათასი ლარის ხარჯი. აქედან 2006 წლიდან 2007 წელში გარდამავალი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6,011.2 ათას ლარს. შესაბამისად, 2009 წლის 31 დეკემბრისათვის „არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები" ან/და დაუმთავრებელი მშენებლობა ბალანსზე აღრიცხულია 12,623.1 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით.[6]

2006 წლის 31 მარტის თვის დეპარტამენტის ძირითადი საშუალებები საბალანსო მონაცემებით შეადგენდა 16,506.9 ათას ლარს. ამავე პერიოდიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე შემოსავალში აღრიცხულია 8,136.7 ათასი, ხოლო გასავალში 289.1 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. 2007 წლის 31 დეკემბერს ნაშთი შეადგენდა 24,354.5 ათას ლარს (ისტორიული ღირებულებით). 2008 წლის 1 იანვრიდან მოქმედი წესების შესაბამისად ძირითადი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნარჩენი ღირებულებით. შესაბამისად, 15,824.2 ათასი ლარით ზრდისა და 3,268.0 ათასი ლარით შემცირების შედეგად 2009 წლის 31 დეკემბრისთვის ძირითადი აქტივებისა და მიწის ღირებულებამ შეადგინა 27,695.5 ათასი ლარი.

---

[6] საჭიროა განხორციელდეს მიმდინარე და კაპიტალიზებადი ხარჯების გამიჯვნა მათი შესაბამის ანგარიშზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღირებულებით. აღნიშნული განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" მე -7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ათას ლარებში

არაფინანსური აქტივების დასახელება	არასაცხ-ლი შენობები	სხვა ნაგებობ ები	სატრანსპ ორტო საშ-ები	მანქანა/დან ადგ-ები	სხვა ძირ. აქტივებ ი	დაუმთ -ლი მშ-ბა	მიწა	სულ
ნაშთი 31/03/2006	9,670.0	-	463.0	6,373.9	-	-	-	**16,506.9**
მიღება:					-	-	-	***8,136.7***
შესყიდვა	-	-	382.1	3,906.5	-	-	-	4,288.6
უსასყიდლოდ	2,437.4	-	305.8	561.0	-	-	543.9	3,848.1
გასვლა:					-	-	-	***289.1***
უსასყიდლოდ	-	-	60.3	137.1	-	-	-	197.4
სხვა ხარჯებით	-	-	44.8	46.9	-	-	-	91.7
ნაშთი 31/12/2007	12,107.4	-	1,045.8	10,657.4	-	-	543.9	**24,354.5**
31/12/2007 – 31/12/2009 ნაშთი ნარჩენი ღირებულებით - 15,139.3								
								15,824.2
მიღება:								
შესყიდვა	6,986.1	5,8	607.0	3,456.2	632.3	943.2	-	12,630.6
უსასყიდლოდ	2,129.6	-	125.5	191.0	-	-	506.7	2,952.8
სხვა ეკ. ნაკადები	184,9	-	34.1	-	21.9	-	-	240.8
								3,268.0
გასვლა:								
უსასყიდლოდ	738.3	-	113.9	184.3	-	-	196.6	1,233.2
სხვა ეკ. ნაკადები	11.8	-	-	240.8	-	-	-	252.7
სხვა ხარჯებით	-	-	7.8	11.4	-	-	-	19.3
ძირ.კაპ-ის მოხმარება	306.4	0.4	292.2	1,110.1	53.5	-	-	1,762.8
ნაშთი 31/12/2009	17,586.1	5.4	1,140.0	6,551.9	615.3	943.2	853.6	**27,695.5**

აუდიტის პერიოდში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დეპარტამენტისთვის უსასყიდლოდ გადმოცემულია შემდეგი ძირითადი საშუალებები:

ათას ლარებში

არაფინანსური აქტივების დასახელება	არასაცხ-ლი შენობები	სატრანრანსპორტო საშუალებები		მანქ/დან. და ინვენტარი	მიწა	სულ
		ერთ.	თანხა			
ეკონომიკის სამინისტროს მიერ:	4,567.1	6	216.4	545.1	1,050.6	6,379.2
2006 წელი	-	1	44.6	347.4	-	*392.0*
2007 წელი	2,437.4	3	78.3	9.1	543.9	3,068.7
2008 წელი	56.0	1	18.0	104.1	72.7	250.8
2009 წელი	2,073.7	1	75.5	84.5	434.0	2,667.7
მსოფლიო ბანკი, 2006 და 2007	-	1	105.7	132.8	-	238.5
პრეზიდენტის სსიპ განვ ფონდი, 2006	-	4	62.3	-	-	62.3
შპს „სილქროუდმოტორსი“, 2006	-	1	10.5			10.5
ფინანსთა სამინისტრო, 2007	-	1	4.3	5.8	-	10.1
გაეროს განვ. პროგრამის ფონდი, 2007	-	-	-	23.1	-	23.1
შპს „მზე“, 2007	-	-	-	46.9	-	46.9
იუსტიციის საბჭო, 2008	-	1	32.0	-	-	32.0
ფონდი ცისკარი, 2009	-	-	-	2.2	-	2.2
სულ	**4,567.1**	**14**	**431.2**	**755.9**	**1,050.6**	**6,804.8**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანებების საფუძველზე დადგინდა, რომ დეპარტამენტის

მიერ არაფინანსური აქტივების შესყიდვა, უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა და ჩამოწერა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, გარდა ზოგიერთი უზუსტობებისა, რომელიც უკავშირდება მათი აღრიცხვიანობის საკითხებს.

შენიშვნა 3 - მატერიალური მარაგები

დასახელება	ნაშთი 31/03/2006	მიღება		გასვლა		ნაშთი 31/12/2010
		შესყიდვა	უსასყ/ეკ.ნაკ	უსასყ/ეკ.ნაკ	ხარჯი	
ბენზინის ბარათები	78.5	1,642.0	-	-	1,651.0	69.5
აკუმულატორები და საბურავები	-	52.0	6.9/19.2	-	42.8	35.3
საკანც/სამეურ/ელ.საქონ.	936.3	5,475.3	551.9/620.8	11.5/640.3	5,410.9	1,521.6
სამედიცინო	-	16.6	-	-	16.6	-
სულ მატერიალური მარაგები	**1,014.8**	**7,185.9**	**558.9/640.3**	**11.6/640.3**	**7,121.2**	**1,626.8**

დეპარტამენტში დარღვეულია ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი წესები. აუდიტის პერიოდში ყოველი წლის ბოლოს, არ ჩატარებულა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონების (საწყობის) სავალდებულო ინვენტარიზაცია.ფაქტობრივად საბუღალტრო სამსახურის მიერ არ კონტროლდებოდა საწყობში ფასეულობათა შემოსვლა და ხარჯვა, ასევე არ ხდებოდა ბუღალტრული ჩანაწერების შედარება საწყობში წარმოებულ ჩანაწერებთან, რის გამოც 2006-2009 წლებში საწყობიდან მატერიალური ფასეულობების გაცემის დამადასტურებელი გასავლის ზედდებულების დროული ასახვა არ ხდებოდა საბუღალტრო დოკუმენტებში. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის ბუღალტრული ჩანაწერები არ შეესაბამებოდა რეალობას [7].

აუდიტის დაწყების დღესვე, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2010 წლის 7 ივნისის N87 ბრძანებით შეიქმნა საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისია, ბრძანებაში მითითებული არ არის ინვენტარიზაციის დაწყებისა და დამთავრების ვადები და არც თარიღი, თუ რომელი

---

[7] აღნიშნული ქმედებებით დარღვეულია: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღლტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-13, მე-14 მუხლის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები; ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ “ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-5, მე-6, მე-8 პუნქტების და მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. ასევე, 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დღის ნაშთის მდგომარეობით უნდა ჩატარებულიყო ინვენტარიზაცია. 2010 წლის 8 ივნისის მდგომარეობით მატერიალური ფასეულობების ნაშთების შესახებ წარმოდგენილი ცნობის თანახმად (რომელსაც ხელს აწერს საწყობის გამგე) საწყობზე ირიცხებოდა 3.6 მლნ ლარის ღირებულების 2.6 ათასი სხვადასხვა დასახელების ფასეულობა. 2010 წლის 21 ივნისის მდგომარეობით ხელახლა წარმოდგენილი ცნობის თანახმად კი საწყობზე ირიცხებოდა 1, 280,091.20 ლარის ღირებულების 1354 დასახელების მატერიალური ფასეულობა, ანუ 8 ივნისის მონაცემებთან შედარებით ნაშთებში აღარარის ასახული 2,335,212.50 ლარის ღირებულების 1270 სხვადასხვა დასახელების მატერიალური ფასეულობა. უნდა აღინიშნოს,

ლარს. 2008 წლიდან ახალ ანგარიშთა გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით 2008 და 2009 წლებში წმინდა ღირებულების ანგარიშზე თანხების მოძრაობა მოცემულია ცხრილის სახით:

	2009წ.	2008 წ.
ნაშთი - 01.01.2008		*15,813.7*
ნაშთი - 01.01.2009	*21,581.9*	
ზრდა		
მიღებული დაფინანსება	36,919.9	34,441.1
უსასყიდლოდ გადმოცემული ძირითადი აქტივები	2,235.9	210.1
უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები	429.4	19.2
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები(მიწა)	434.0	72.6
სხვა ეკონომიკური ნაკადი (მოცულობითი ცვლილება)	132.6	7.5
სულ:	**40,151.8**	**34,750.5**
შემცირება		
ფაქტობრივი ხარჯი	*31,124.4*	*27.865.6*
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები	*127.7*	*908.7*
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები	-	-
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები(მიწა)	-	*196.9*
სხვა ეკონომიკური ნაკადი (მოცულობითი ცვლილება)	28.1	11.1
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	204.8	-
სულ:	**31,485.0**	**28,982.3**
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში	*8,666.8*	5,768.2
ნაშთი-01.01.2010 სულ წმინდა ღრებულება:	*30,248.3*	

წმინდა ღირებულების ზრდა - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) - ასახავს 130.0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების დაფარვას სააღსრულებლო ფურცლის თანახმად შპს „იფანის“ სასარგებლოდ; 2.6 ათასი ლარი - ხანდაზმული დავალიანების დაფარვა.

წმინდა ღირებულების შემცირება - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) -28.1 ათასი ლარი წარმოადგენს ჩამოწერილ ხანდაზმული დებიტორულ დავალიანებას.

წმინდა ღირებულების შემცირება - ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებების ანგარიშზე ასახული თანხა წარმოადგენს შპს „ამაღლების“ და შპს „პირამიდა 2002“-ის წინა პერიოდის დებიტორული დავალიანების შემცირებას(წინასწარ გადახდილი თანხები დაბრუნებულია ბიუჯეტში სადაზღვეო კომპანიების მიერ).

კაპიტალში (წმინდა ღირებულება - 30,248.3 ათასი ლარი) არ არის გათვალისწინებული, კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული 12,623.1 ათასი ლარი (შენიშვნა 2), ასევე სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ როგორც წმინდა ღირებულება, ასევე საკუთარი კაპიტალი. ამდენად, ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები წლების მიხედვით არარეალურია და მოითხოვს კორექტირებას ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28

დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-7მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების შესახებ ხაზინის ანგარიშის და დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების მიხედვით აუდიტის პერიოდში საბიუჯეტო პარამეტრები და გაწეული საკასო - ფაქტობრივი ხარჯების მდგომარეობა წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

01/04/2006-31/12/2006 ათას ლარებში				
დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
საერთო სასამართლოები (09 00)	*24,007.6*	*23,374.7*	*21,995.2*	*-1,379.5*
შრომის ანაზღაურება-სულ	6,659.7	8,500.7	8,502.6	2.0
ხელფასი	*მ/ შორის*	*8,051.3*	*8,053.3*	*2.0*
პრემია		*448.3*	*448.3*	-
დახმარება		*1.1*	*1.1*	-
საქონელი და მომსახურება-სულ	2.004.4	1,972.9	1,958.2	-14.7
ოფისის ხარჯები	*მ/ შორის*	*478.8*	*410.9*	*-67.9*
კომუნალური მომსახურების ხარჯები		*901.2*	*1,013.2*	*112.0*
სამედიცინო ხარჯები		*4.0*	*4.0*	-
რბილ.ინვენ. და უნიფორმის შეძენა		*88.6*	*29.7*	*-58.9*
ტრანსპ. ტექ. ექსპლოტ. ხარჯები		*208.5*	*223.6*	*15.1*
სხვა ხარჯები		*291.7*	*276.5*	*-15.2*
სუბსიდიები, სუბვენ-ები და მ/ტრანსფ-ები	*383.0*	*359.5*	*359.5*	-
სოც.უზრუნველყოფა	*1,701.5*	*1,700.4*	*1,700.4*	-
მივლინებები	58.0	51.9	50.5	-1.4
კაპიტალური ხარჯები:	**9,053.9**	**10,789.8**	**9,424**	**-1,365.8**
მათ შორის:				
საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატი (09 01)				
სულ	501.8	509.4	-	-
საერთო სასამართლოები (09 02)				
სულ	23.122.7	22,505.9	-	-
სსიპ-იუსტიციის უმაღლესი სკოლა (09 03)				
სუბსიდიები, სუბვენ-ები და მ/ტრანსფ-ები-წლიური	121.0	98.6	-	-
უცხ. მიღ-ლი დაფი-ის წყაროებითა და გრანტებით განსახ-ლი საინვესტიციო პროექტები (09 04)				
სასამართლო რეფორმის პროექტი -წლიური	1,039.1	1,034.7	-	-

01/01/2007 – 31/12/2007ათას ლარებში				
დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5

საერთო სასამართლოები (09 00)	*30,596.2*	*30,242.1*	*31,331.9*	*1,089.8*
შრომის ანაზღაურება-სულ	13,756.7	13,754.0	13,754.0	-
ხელფასი	მ/ შორის	12,631.8	12,631.6	0.8
პრემია		416.2	416.2	-
დანამატი		706.0	705.9	-0.1
საქონელი და მომსახურება-სულ	3,606.0	3,375.8	3,532.0	156.2
ოფისის ხარჯები	მ/ შორის	874.2	1,102.1	227.9
კომუნალური მომსახურების ხარჯები		1,645.7	1.766.2	120.5
სამედიცინო ხარჯები		2.5	2.5	-
რბილ.ინვენ. და უნიფორმის შეძენა		134.1	0.4	-133.7
ტრანსპ. ტექ. ექსპლოტ. ხარჯები		539.8	477.3	-62.5
სხვა ხარჯები		179.4	183.6	4.2
სუბსიდიები, სუბვენ-ები და მ/ტრანსფ-ები	1,053.0	973.1	973.1	-
სოც.უზრუნველყოფა	2,751.4	2,750.6	2,750.7	0.1
მივლინებები	74.0	69.4	69.3	-0.1
კაპიტალური ხარჯები:	9,355.1	9,319.2	10,253.0	933.8
მათ შორის:				
საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატი (09 01)				
სულ	749.3	739.6	-	-
საერთო სასამართლოები (09 02)				
სულ	28,795.1	28,530.5	-	-
სსიპ-იუსტიციის უმაღლესი სკოლა (09 03)				
სუბსიდიები, სუბვენ-ები და მ/ტრანსფ-ები	1,051.8	972.0	-	-

01/01/2008 – 31/12/2008			ათას ლარებში	
დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
საერთო სასამართლოები (09 00)	*35,046.7*	*34,441.1*	-	-
ხარჯები:	27,779.3	27,484.9	27,865.6	380.7
შრომის ანაზღაურება-სულ	20,774.9	20,774.8	20,774.8	-
თანამდებობრივი სარგო	მ/ შ	16,735.4	16,735.4	-
პრემია		1,951.6	1,951.6	-
დანამატი		2,087.8	2,087.8	-
საქონელი და მომსახურება-სულ	5,928.0	5,805.7	5,330.5	-475.2
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	მ ა თ შ ო რ ი ს	394.9	395.1	0.2
მივლინებები		52.0	51.9	-0.1
ოფისის ხარჯები		3,530.7	3,219.8	-310.9
წარმომადგენლობითი ხარჯები		11.0	11.0	-
სამედიცინო ხარჯები		4.3	4.3	-
რბილ.ინვენ. და პირ.ჰიგ-ის საგ.		166.4	128.2	-38.2
ტრანსპ. ტექ. ექსპლოტ. ხარჯები		900.6	774.3	-126.3
სხვა დანარჩენი საქ და მომს-ბა		745.8	745.8	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	856.0	856.0
სუბსიდიები	796.4	659.7	659.7	-
სოც.უზრუნველყოფა	155.0	153.7	153.7	-
სხვა ხარჯები-მიმდინარე	125.0	91.0	91.0	-
არაფინანსური აქტივების ზრდა:	7,256.7	6,945.5	-	-

შენობა/ნაგებ-ბი	მ/ შორის	5,099.4	-	-
მანქანა-დანადგარები და ინვენ-რი		1,590.4	-	-
სხვა ძირითადი აქტივები (არამატერ-რი)		255.7	-	-
ვალდებულებების კლება	10.7	10.7	-	-
მათ შორის:				
საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატი (09 01)				
სულ	929.3	913.6	-	-
ხარჯები	845.4	832.5	-	-
არაფინანსური აქტივები (მ/ნაგებობები)	83.9	81.1	-	-
საერთო სასამართლოები (09 02)				
სულ	33,065.6	32,689.9	-	-
ხარჯები	26,087.5	25,957.6	-	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,967.4	6,721.6	-	-
ვალდებულების კლება	10.7	10.7	-	-
სსიპ-იუსტიციის უმაღლესი სკოლა (09 03)				
სულ	1,051.8	837.6	-	-
ხარჯები	846.4	694.8	-	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	205.4	142.8	-	-

01/01/2009 – 31/12/2009ათას ლარებში

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
საერთო სასამართლოები **(09 00)**	***37,433.1***	***36,919.9***	-	-
ხარჯები:	30,591.9	30,158.9	31,124.3	965.4
მრომის ანაზღაურება-სულ	21,755.4	21,722.1	21,722.0	-0.1
თანამდებობრივი სარგო	მ/შ	17,483.1	17,483.0	-0.1
პრემია		1,696.5	1,696.5	-
დანამატი		2,542.5	2,542.5	-
საქონელი და მომსახურება-სულ	7,560.3	7,425.4	7,484.3	58.9
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	მათ შორის	392.7	392.5	-0.2
მივლინებები		66.5	66.6	0.1
ოფისის ხარჯები		4,497.5	4,395.8	-101.7
წარმომადგენლობითი ხარჯები		2.9	2.9	-
სამედიცინო ხარჯები		5.6	5.6	-
რბილ.ინვენ. და პირ.ჰიგ-ის საგ.		147.0	190.9	43.9
ტრანსპ. ტექ. ექსპლოტ. ხარჯები		863,6	980.3	116.7
სხვა დანარჩენი საქ და მომს-ბა		1,449.6	1,449.6	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	0.0	-	906.6	906.6
სუბსიდიები	761,8	602.4	602.4	-
სოც.უზრუნველყოფა	170.0	168.1	168.1	-
სხვა ხარჯები-მიმდინარე	344.4	240.9	240.9	-
არაფინანსური აქტივების ზრდა:	6,838.6	6,758.3	-	-
შენობა/ნაგებ-ბი	მ/ შორის	3,809.2	-	-
მანქანა-დანადგარები და ინვენ-რი		2,322.9	-	-
სხვა ძირითადი აქტივები (არამატერ-რი)		626.2	-	-
ვალდებულებების კლება	2.6	2.6	-	-
მათ შორის:				

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატი (09 01)				
ხარჯები - სულ	986.4	977.6	-	-
საერთო სასამართლოები (09 02)				
სულ	35,394.9	35,195.8	-	-
ხარჯები	28,633.7	28,452.7	-	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,758.6	6,740.5	-	-
ვალდებულების კლება	2.6	2.6	-	-
სსიპ-იუსტიციის უმაღლესი სკოლა (09 03)				
სულ	1,051.8	746.5	-	-
ხარჯები	971.8	728.6	-	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	80.0	17.9	-	-

2006 წლის ბიუჯეტში ორგანიზაციული კოდით (0904) გათვალისწინებული იყო უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი პროექტები (სასამართლო რეფორმის პროექტი) 1,039.1 ათასი ლარის ოდენობით.

დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, სასამართლო რეფორმის პროექტის ფარგლებში თანხების განკარგვის ოპერატიულობისგაუმჯობესების მიზნით, დეპარტამენტმა ზემოაღნიშნულ ასიგნებათა განკარგვის უფლებამოსილება მიანიჭა სსიპ-საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელ რგოლს. ამდენად, აღნიშნულ სსიპ-თან დაკავშირებითხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად ანგარიშგებაში ფინანსური მაჩვენებლები გათვალისწინებულია ხაზინის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ნაერთ ანგარიშგებაში ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობები გამოწვეულია:

საკასო ხარჯის ფაქტობრივ ხარჯთან მეტობის შემთხვევაში - წინასწარი გადახდებითა და ანგარიშზე საწყისი ნაშთის არსებობით, რომელთა ხარჯვა არ მომხდარა. ხოლო, ფაქტობრივი ხარჯის საკასო ხარჯთან მეტობის შემთხვევაში - მიმდინარე პერიოდში დებიტორული დავალიანების შემცირებით, კრედიტორული დავალიანების წარმოქმნითა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების ფაქტობრივ ხარჯში ასახვით.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის გადახდებზე 2006 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 იანვრამდე:
(სსიპ - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ გარეშე)

შრომის ანაზღაურება

ათას ლარებში

საერთო სასამართლოები	ორგ.კოდები: 09-00/09-01/0902	სულ შრ.ანაზ.	თანამდ-ვი სარგო	დანამატი	პრემია
2006 წ - 1398 საშტატო ერთ. მინ/ხელფასი -150 ლარი, მაქს/ხელფასი - 3000 ლარი	სულ	8,500.7	8,051.3	1.2	448.2
	დეპარტამენტი	361.2	257.4	0.5	103.3
	ს/სასამართლოები	8,139.5	7,794.0	0.7	344.9

2007 წ - 1724 საშტატო ერთ. მინ/ხელფასი-130 ლარი, მაქს/ხელფასი - 3100 ლარი	სულ	13,753.9	12,631.8	705.9	416.2
	დეპარტამენტი	540.1	435.7	-	104.4
	ს/სასამართლოები	13,213.9	12,196.2	705.9	311.8
2008 წ - 1718 საშტატო ერთ. მინ/ხელფასი -200 ლარი, მაქს/ხელფასი - 4000 ლარი	სულ	20,774.8	16,735.4	2,087.8	1,951.6
	დეპარტამენტი	713.0	487.6	-	225.4
	ს/სასამართლოები	20,061.8	16,247.8	2,087.8	,1726.2
2009 წ - 1680 საშტატო ერთ. მინ/ხელფასი -200 ლარი, მაქს/ხელფასი - 4200 ლარი	სულ	21,722.1	17,483.1	2,542.5	1,696.5
	დეპარტამენტი	791.9	488.6	6.0	297.3
	ს/სასამართლოები	20,930.1	16,994.4	2,536.5	1,399.2
სულ აუდიტის პერიოდში:		**64,751.5**	**54,901.6**	**5,337.4**	**4,512.5**

2006 წელს დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა შეადგენდა 380 ერთეულს, ხოლო დამქირავებლიდან ანარიცხები შეადგენდა 1700.5 ათას ლარს.

2007 წელს დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა შეადგენდა 105 ერთეულს, ხოლო დამქირავებლიდან ანარიცხები შეადგენდა 2,750.6 ათას ლარს.

2008 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთათვის (119ერთეული) გაწეულია 394.9 ათასი ლარის ხარჯი, სოციალურმა დახმარებამ შეადგინა 153.7 ათასი ლარი.

2009 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთათვის (52ერთეული) გაწეული იქნა 392.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, სოციალური დახმარება შეადგენდა 168.1 ათასი ლარს.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

ათას ლარებში

დასახელება	2006	2007	2008	2009	სულ
ბენზინი	111.4	353.3	630.1	548.9	1,643.6
ავტომანქანების შეკეთება	79.3	133.8	157.6	214.8	585.4
გენერატ.აკუმულ. და ზეთის შეძენა	2.4	–	–	–	2.4
საბურავები,ანტიფრიზი ავტომაქანებისთბის	–	20	23.2	31.1	74.2
ლიფტების შეკეთება	–	–	4.2	8.7	12.8
ტრანსპორტის გაფორმება და დაქირავება	15.5	32.8	54.2	42.6	145.1
სატელიტი	–	–	31.4	17.6	49.0
სულ	208.5	539.8	900.6	863.6	2,512.6

აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

დადგინდა, რომ ავტომანქანებზე გაწეულ მომსახურებასა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გახარჯული 585 438 ლარიდან **217 895** ლარის სათადარიგო ნაწილები და შესასრულებული ტექნიკური მომსახურებების ღირებულებები არ იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებების „პრაის-ლისტებში"(რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებაშიარ იყო გათვალისწინებული მისაწოდებელი მომსახურების/სათადარიგო ნაწილების დასახელება, ღირებულება, შესრულებული სამუშაოების თაობაზე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში შეტანილი იყოისეთი დასახელების მომსახურებები, რაც არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ასევე ადგილი ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული მომსახურების გაწევას ხელშეკრულებით (პრაის ლისტებში) გაუთვალისწინებელ

ავტომანქანებზე). მათ შორის მომსახურე შპს-ების მიხედვით: *შპს „ანდანტე“* - ტექ.მომსახურება - 9,932 ლარი, ხოლო სათადარიგო ნაწილებზე საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი „პრაის ლისტი“; *შპს „ავანტი ჯგუფი“* მომსახურება-20,149 ლარი, სათადარიგო ნაწილები-42,867 ლარი; *შპს „ავტოსერვისცენტრი+“*მომსახურება-37,160 ლარი, სათადარიგო ნაწილები - 107,787 ლარი. ამასთან დაფიქსირდა სათადარიგო ნაწილების შესყიდვასა და ტექნიკური მომსახურების გაწევაზე ზედმეტად გადახდილი თანხები 3,993 ლარის ოდენობით: შპს „ანდანტეს“ტექნიკურ მომსახურებაზე – 152 ლარი; შპს „ავანტი ჯგუფს“ - 695 ლარი, ხოლო სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე 1,229 ლარი; შპს „ავტოსერვის ცენტრი+“სთვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე გადახდილია 1,917 ლარით მეტი.

ოფისის ხარჯები

2006წელს შეადგენდა 1,243.0 ათას ლარს. მათ შორის: საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი 130.5 და 76.8, ინტერნეტმომსახურება-20.3, საფოსტო გზავნილები-302.2, მიმდინარე შეკეთების ხარჯები-28.2, კომუნალური ხარჯი -253.1, სატელეფონო (სააბონენტო,მობილური, საქალაქთაშორისო)-222.0, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (ინვენტარის შეკეთებები/მონტაჟი)-30.0, მცირეფასიანი ინვენტარი-92.2, საქმისწარმოების ფორმები, ჟურნალები და საქმის ყდები - 32.4, საკანონმდებლო მაცნესა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა-20.7, საოფისე შენობის იჯარა - 4.9, საოფისე შენობის დაცვა - 30.7 ათასი ლარი.

2007 წელს შეადგენდა 2,345.6 ათას ლარს. მათ შორის: საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი 235.4 და 239.5, ინტერნეტმომსახურება-70.6, საფოსტო გზავნილები-444.5, მიმდინარე შეკეთების ხარჯები - 4.1, კომუნალური ხარჯი - 679.7, სატელეფონო (სააბონენტო, მობილური, საქალაქთაშორისო)-308.7, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (ინვენტარის შეკეთებები/მონტაჟი)-2.0, მცირეფასიანი ინვენტარი - 248.3, საქმისწარმოების ფორმები, ჟურნალები და საქმის ყდები - 53.0, სპეციალური ლიტერატურის შეძენა - 11.7, საკანონმდებლო მაცნესა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა-40.0, საოფისე შენობის იჯარა - 8.1 ათასი ლარი.

2008 წელს შეადგენდა 3,530.7 ათას ლარს. მათ შორის: საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი 378.6, ინტერნეტმომსახურება-92.0, საფოსტო გზავნილები-624.4, კომპიუტერული და ასლგადამღები მოწყობილობებისათვის სახარჯი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა - 417.9, მიმდინარე შეკეთების ხარჯები - 16,7, კომუნალური ხარჯი - 869.0, სატელეფონო (სააბონენტო, მობილური, საქალაქთაშორისო) -287.4, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (ინვენტარის შეკეთებები/მონტაჟი)-50.0,მცირეფასიანი ინვენტარ - 164.2, საქმისწარმოების ფორმები, ჟურნალები და საქმის ყდები - 130.0, სპეციალური ლიტერატურის შეძენა - 28.3, სამეურნეო მომსახურება - 426.9, საკანონმდებლო მაცნესა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა-45.3 ათასი ლარი.

2009 წელი- სულ 4,497.5 ათასი ლარი. მათ შორის: საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი 355.6, ინტერნეტმომსახურება-152.9, საფოსტო გზავნილები-806.0, კომპიუტერული და ასლგადამღები მოწყობილობებისათვის სახარჯი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა - 475.0, მიმდინარე რემონტის ხარჯები - 122.9, კომუნალური ხარჯი -1,124.2,

სატელეფონო (სააბონენტო, მობილური, საქალაქთაშორისო)-422.1, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (ინვენტარის შეკეთებები/მონტაჟი)-15.9, მცირეფასიანი ინვენტარი-365.4,საქმისწარმოების ფორმები, ჟურნალები და საქმის ყდები-72.4, სპეციალური ლიტერატურის შეძენა-16.0, სამეურნეო მომსახურება-512.0, საკანონმდებლო მაცნესა და ჟურნალ-გაზეთების შეძენა-54.1, კანონმდებლობის საძიებო სისტემა - 3.0 ათასი ლარი.

მივლინებები

2006 წელს გაწეული 51.9 ათასი ლარის ხარჯიდან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეადგენდა 11.8 ათასი ლარს, ხოლო ქვეყნის შიგნით- 40.1 ათას ლარს.
2007 წელს გაწეული 69.4 ათასი ლარის ხარჯიდან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეადგენდა 28.0 ათასი ლარს, ხოლო ქვეყნის შიგნით- 41.4ათას ლარს.
2008 წელს გაწეული 52.0 ათასი ლარის ხარჯიდან, ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეადგენდა 11.9 ათასი ლარს, ხოლო ქვეყნის შიგნით-40.1 ათას ლარს.
2009 წელს სულ: 66.5 ათასი ლარი- შესაბამისად, 52.7 ათასი და 13.8 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი

2006 წელს - შეადგენდა 18.8 ათას ლარს (სტუმრების მიღება).
2007 წელს - 12.1 ათას ლარს (სტუმრების მიღება).
2008 წელს - 11.0 ათას ლარს (სტუმრების მიღება).
2009 წელს - 2.9 ათასი ლარს (სტუმრების მიღება).

სამედიცინო ხარჯები

2006 წელს შეადგენდა 4.1 ათას ლარს: მედიკამენტები -0.3 ათას და დეზინფექციის - 3.8 ათას ლარს.
2007 წელს - 2.5 ათას ლარს: მედიკამენტები -1.4 ათას და დეზინფექციის - 1.1 ათას ლარს.
2008 წელს - 4,3 ათას ლარს: მედიკამენტები -4.1 ათას და დეზინფექციის - 0.2 ათას ლარს.
2009 წელს - 5.6 ათას ლარს (მედიკამენტები).

რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯები

2006 წელს შეადგენდა 88.5 ათას ლარს: მათ შორის: მოსამართლის მანტია -5.0 ათასი და მანდატურის ფორმები -83.5 ათასი ლარი.
2007 წელს შეადგენდა 134.1 ათას ლარს: მათ შორის: მოსამართლის მანტია -5.6 ათასი და მანდატურის ფორმები -128.5 ათასი ლარი.
2008 წელს შეადგენდა 166.4 ათას ლარს: მათ შორის: მოსამართლის მანტია -30.8 ათასი და მანდატურის ფორმები - 135.6 ათასი ლარი.
2009წელს - სულ 147.0 ათასი ლარი. მათ შორის: მანტიის - 4.4 ათასი და მანდატურის ფორმები - 142.6 ათასი ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

2006 წელს გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა 322.9 ათას ლარს. მათ შორის: არქივის დამუშავება - 21.9, ბინის ქირავნობა-96.1, ექსპერტიზა - 196.3, და ლიტერატურის შეძენა - 8.6 ათასი ლარს.

2007 წელს გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა 260.8 ათას ლარს. მათ შორის: შენობის პასპორტიზაცია - 13.4, არქივის დამუშავება - 21.9, ბინის ქირავნობა-126.6, ექსპერტიზა - 87.1, ლიტერატურის შეძენა - 11.8 ათას ლარს.

2008 წელს გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა 745.8 ათას ლარს. მათ შორის: ექსპერტიზის ხარჯი-102.7,შენობის პასპორტიზაცია - 7.6, არქივის დამუშავება - 29.0, თარჯიმნის მომსახურება-48.2, დარბაზის დაქირავება -23.9, ბინის ქირავნობა-238.0,განცხადების გამოქვეყნება-25.9, სხვა დანარჩენი (რეკლამის,პროექტის შედგენა, შენობის შეფასება) -270.5 ათას ლარს.

2009 წელს - სულ: 1,449.6 ათასი ლარი. მათ შორის: ექსპერტიზის ხარჯი-131.4, შენობის პასპორტიზაცია - 4.8, არქივის დამუშავება - 27.0, თარჯიმნის მომსახურება-106.2, დარბაზის დაქირავება -6.6, ბინის ქირავნობა-274.8, განცხადების გამოქვეყნება-86.3, სხვა დანარჩენი (რეკლამის,პროექტის შედგენა, შენობის შეფასება, შენობის დაცვა-30.0 ათასი) -812.5 ათასი ლარი.

აღნიშნული მუხლით საექსპერტო და სპეციალური სამუშაოებისთვის გაწეული ხარჯების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

აუდიტის პერიოდში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საექსპერტო და სპეციალური სამუშაოებისთვის გაწეულია 472.8 ათასი ლარის (2006 წელს – 174,516.52 ლარი, 2007 წელს – 84,346.67ლარი, 2008 წელს – 96,237.23 ლარი, 2009 წელს – 117,758.81ლარი) საკასო ხარჯი. რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმეების განხილვისას, სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულების სასამართლო-საექსპერტო მომსახურების მიზნით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო"-ს შორის 2006-2009 წლებში გაფორმებულია 4 ხელშეკრულება (N3/5 03.01.2006 წ. N51 26.01.2007წ. N3/3/168 01.2008წ. და N3/1/2 05.01.2009წ.), რომელთა მიხედვითაც: ექსპერტიზის ბიურო დეპარტამენტის სასარგებლოდ შეასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საექსპერტო და სპეციალურ სამუშაოებს; დეპარტამენტი აუნაზღაურებდა ექსპერტიზის ბიუროს შესრულებული მომსახურეობის საფასურს„ სასამართლო–საექსპერტო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005წლის 11მარტის N43 დადგენილებით დამტკიცებული სასამართლო–საექსპერტო მომსახურების ტარიფის მიხედვით; მხარეთა შორის ანგარიშსწორება იწარმოებოდ აყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ექსპერტიზის ბიუროს მიერ ყოველი საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე დეპარტამენტისათვის წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და გაფორმებული მიღება–ჩაბარების (ფორმაN5) აქტების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული სასამართლო–საექსპერტო მომსახურების ტარიფები კლასიფიცირებულია 5 ძირითად კატეგორიად (1.კრიმინალისტიკურიექსპერტიზა, 2. ფინანსური, საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზა, 3.ქიმიური ექსპერტიზა, 4. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა, 5.სასამართლო ფსიქიატრიულ–ნარკოლოგიური ექსპერტიზა), რომლებიც შედგება ქვეკატეგორიებისაგან და ყოველ ქვეკატეგორიას მინიჭებული აქვს კვლევის კოდი, შესაბამისი ტარიფის მითითებით.

გაწეული საექსპერტო მომსახურების ანაზღაურების მიზნით ექსპერტიზის ბიუროდან დეპარტამენტს ეგზავნება წერილი, რომელშიც მითითებულია გადასახდელი თანხა. წერილს თან ერთვის საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა და შესრულებული საექსპერტო და სპეციალური სამუშაოს ფორმა N5–ის ქსეროასლები.

აუდიტის პერიოდში ექსპერტიზის ბიუროდან დეპარტამენტში გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად 39 შემთხვევაში წარმოდგენილია 1176 ერთეული ფორმა N5–ის ქსეროასლები, საერთო თანხით 509,709.97ლარი, (2006 წელს 399 ერთეული ფორმა N5 – 190,583.06 ლარი, 2007 წელს 259 ერთეული ფორმა N5 – 96,969.93 ლარი, 2008 წელს 259ერთეული ფორმა N5 – 103,092.23ლარი, 2009 წელს 259ერთეული ფორმა N5 – 119,064.75ლარი).

აუდიტის პროცესში, ექსპერტიზის ბიუროდან წარმოდგენილ ფორმა N5–ებში დაფიქსირებული, შესრულებული საექსპერტო სამუშაოების და ექსპერტიზის ვადების და გადასახდელი თანხების რეალობის დადგენის მიზნით, რაიონული და საქალაქო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა **185** საქმეში არსებული განჩინებები ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, საექსპერტო დასკვნები და სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა შესწავლით დადგინდა:

- ანალიზის პროცესში გამოიკვეთა **6** სისხლის სამართლის საქმე, რომლებიდანაც წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებში სტაციონალური ფსიქიატრიული გამოკვლევის (კვლევის კოდი 5.1.2, ტარიფი – 1 ფიზიკური პირი 1 დღე –45 ლარი) და სტაციონალური კომპლექსური ფსიქიატრიულ–ფსიქოლოგიური გამოკვლევის (კვლევის კოდი 5.1.4, ტარიფი – 1 ფიზიკური პირი 1 დღე – 50 ლარი) დღეები უფრო ნაკლებია დაფიქსირებული, ვიდრე ფორმა N5–შია ნაჩვენები, რის გამოც ექსპერტიზის ბიუროს ზედმეტად აუნაზღაურდა **26715** ლარი. კერძოდ:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/108–06წ. წარმოდგენილი კომპლექსური სტაციონალური სასამართლო ფსიქიატრიულ–ფსიქოლოგიური ექსპერტიზის N334/27–63 დასკვნით ირკვევა, რომ ექსპერტიზა დაიწყო 26.04.2006 წელს და დამთავრდა 24.05.2006 წელს (გრძელდებოდა 28 დღე). ფორმა N5–ში კვლევის დაწყების და დამთავრების თარიღები იგივეა მითითებული, რაც საექსპერტო დასკვნაში, მაგრამ დღეების და თანხების გაანგარიშების გრაფებში მითითებულია 281 დღე და 14050 ლარი, ანუ ზედმეტადაა გაანგარიშებული **253** დღე და შესაბამისად**12650** ლარი.

ფორმა N5–ის გაანგარიშების გრაფაში ვიზუალურადაც ეტყობა, რომ 28 დღეს მიაწერეს ციფრი „1“ და ხელოვნურად გამოიყვანეს 281 დღე (ექსპერტები: დ. მაღრაძე, ქ. შევარდნაძე, ი. სურგულაძე);

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/1971–05წ.(ახალი N1/1282–06წ) წარმოდგენილი კომპლექსური სტაციონალური სასამართლო ფსიქიატრიულ–ფსიქოლოგიური ექსპერტიზის N10937/27–22 დასკვნით ირკვევა, რომ ექსპერტიზა დაიწყო 12.01.2006 წელს და დამთავრდა 08.02.2006 წელს (გრძელდებოდა 27 დღე). ფორმა N5–ში კვლევის დაწყების თარიღია 2.07.2005 წ, ხოლო დამთავრების თარიღია 08.02.2006წ (274 დღე). ანუ, ზედმეტადაა გაანგარიშებული **247** დღე და შესაბამისად**12350** ლარი. ფორმა N5–ის გაანგარიშების გრაფაში ვიზუალურადაც ეტყობა, რომ 27 დღეს მიაწერეს ციფრი „4“ და ხელოვნურად გამოიყვანეს 274 დღე (ექსპერტები: დ. მაღრაძე, ქ. შევარდნაძე, ი.სურგულაძე);

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/1242–08წ. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და ფორმა N5–ის შედარებით გაირკვა, რომ ზედმეტადაა გაანგრიშებული 20 დღე და შესაბამისად 900 ლარი (ექსპერტები:დ. მაღრაძე, ქ.შევარდნაძე, ი. სურგულაძედავ. ჟორჟოლიანი);

სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/25–06წ. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და ფორმა N5–ის შედარებით გაირკვა, რომ ზედმეტადაა გაანგრიშებული **16** დღე და შესაბამისად **720** ლარი (ექსპერტები: დ.მაღრაძე, ქ.შევარდნაძე, ი.სურგულაძე);

მარტვილის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/61–07წ. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და ფორმა N5–ის შედარებით გაირკვა, რომ ზედმეტადაა გაანგრიშებული **1** დღე და შესაბამისად **50** ლარი (ექსპერტები: დ.მაღრაძე, ქ.შევარდნაძე, მ. მათიაშვილი, მ. ბრეგაძე, ი.სურგულაძე);

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმიდან N1/98–07წ. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და ფორმა N5–ის შედარებით გაირკვა, რომ ზედმეტადაა გაანგრიშებული **1** დღე და შესაბამისად **45** ლარი.(ექსპერტები: დ.მაღრაძე, ქ.შევარდნაძე, ი.სურგულაძე);

- აუდიტის პროცესში გამოიკვეთა **4** სისხლის სამართლის და **1** სამოქალაქო საქმე, რომლის მასალებშიც სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები საერთოდ არ არის, მაგრამ ექსპერტიზის ბიუროდან დეპარტამენტში წარმოდგენილი ფორმა N5–ის საფუძველზე გადაირიცხა **4390** ლარი. კერძოდ:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის შაქრო აბუსერიძის 2010 წლის 23 აგვიტოს N573 გ/კ წერილის თანახმად, „ N2–356 საქმეში არ მოიპოვება ექსპერტიზის შესახებ განჩინება და შესაბამისად არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა“. დეპარტამენტში წარმოდგენილი ფორმა N5–ის საფუძველზე კი ექსპერტიზის ბიუროს ანგარიშზე გადაირიცხა **250** ლარი (ექსპერტი ლადო კუნჭულია);

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კეკენაძის 2010 წლის N797 წერილის თანახმად „N1/402 ლაშა ბერაიას ბრალდების და N1/262 ტარიელ ძანძავას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ ექსპერტიზა არ დანიშნულა". დეპარტამენტში ორივე საქმის ნომრის მითითებით წარმოდგენილი 2 ფორმა N5 (კვლევის კოდი 5.1.2), რომელთა საფუძველზე ექსპერტიზის ბიუროს ანგარიშზე გადაირიცხა, შესაბამისად **900** და **1440** ლარი. ორივე ფორმა N5–ში ექსპერტებად დაფიქსირებულია დ.მაღრაძე, ი.სურგულაძე და თ.ნიკოლოზიშვილი;

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ N1/5211–08წ. საქმეში (საქმე აღძრულია მობილური ტელეფონის გატაცების ფაქტზე და განხილვა დასრულდა საპროცესო გარიგებით) ექსპერტიზის დანიშვნის განჩინება არ არსებობს და შესაბამისად ექსპერტიზაც არ ჩატარებულა. დეპარტამენტში წარმოდგენილიფორმა N5–ის (კვლევის კოდი 5.1.2) საფუძველზე ექსპერტიზის ბიუროს ანგარიშზე გადაირიცხა 900 ლარი; ფორმა N5–ში ამ შემთხვევაშიც ექსპერტებად დაფიქსირებულია დ.მაღრაძე, ი.სურგულაძე და თ. ნიკოლოზიშვილი;

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ N1/55984–08წ. საქმეში (საქმე აღძრულია განბაჟების პროცედურებისათვის თავის არიდების ფაქტზე) წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მოთხოვნით, წინასწარი გამოძიებისას შპს „საქექსპერტის" მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა და სასამართლოს განაჩენშიც მხოლოდ ამ ექსპერტიზაზეა მითითება. დეპარტამენტში კი წარმოდგენილი ფორმა N5 (კვლევის კოდი 5.1.2) საფუძველზე ექსპერტიზის ბიუროს ანგარიშზე გადაირიცხა **900** ლარი; ფორმა N5–ში ექსპერტებად დაფიქსირებულია დავით მაღრაძე, იათამზე სურგულაძე და ქეთევან შევარდნაძე.

- ასევე გამოიკვეთა **17** სამოქალაქო და **5** ადმინისტრაციული საქმე, რომელთა მიხედვითაც, სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ხარჯები დაეკისრათ პროცესის მონაწილე მხარეებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფორმა N5-ების საფუძველზე დეპარტამენტის მიერ ექსპერტიზის ბიურო სანგარიშზე გადარიცხულია **5970** ლარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52–ე მუხლის („მხარის მიერ სასამართლო ხარჯების წინასწარ შეტანა") მიხედვით „სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად". ამავე კოდექსის 44–ე მუხლის („საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები") „ა" პუნქტის მიხედვით, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები. ამდენად, ექსპერტიზის თანხების გადახდა კოდექსის მიხედვითაც ეკისრება პროცესის მონაწილე მხარეებს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ფორმა N5-ების საფუძველზე დეპარტამენტმა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გადაურიცხა **5970** ლარი.

კერძოდ: საქმე N2/202–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**150** ლარი (ახალციხე - ექსპერტი მ. იტრიაშვილი); საქმეN3/115–07წ –(კვლევის კოდი 1.5.2 და 1.5.3) **280** ლარი (ხელვაჩაური - ექსპერტები დავით გველესიანი, დემურ დვალი) ; საქმე N2/ბ–481–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**100**ლარი (ქუთაისის საოლქო სასამართლო - ექსპერტები ალექსანდრე ჭიპაშვილი, გურამ ინაშვილი); საქმე N2/683–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**150**ლარი (ქუთაისის საქალაქო სასამართლო - ექსპერტები ა. ჭიპაშვილი, გ.ინაშვილი) ; საქმე N2/740–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**150**ლარი (ქუთაისის საქალაქო სასამართლო - ექსპერტები ჭიპაშვილი, ინაშვილი); საქმე N3/184–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**1750**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N3/298–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**50**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N2/423–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**150**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი მამუკა იტრიაშვილი); საქმე N2/290–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**50**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N2/638–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**100**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N2/313–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**50**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია) ; საქმე N2/318–07წ (კვლევისკოდი 2.2.8) –**50** ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N2/730–07წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**200** ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N3/214–08წ (კვლევის კოდი 1.5.2) –**80**ლარი (გორის რაიონული სასამართლო - ექსპერტი დემურ დვალი) ; საქმე N2/940–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**250**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N2/490–06წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**300**ლარი (ბათუმის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ლადო კუნჭულია); საქმე N3/43–05წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**200**ლარი (ქუთაისის საქალაქო სასამართლო - ექსპერტები ა.ჭიპაშვილი, გ. ინაშვილი); საქმე N2/213–06წ (კვლევის კოდი 2.2.8) –**150**ლარი (კასპის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი დავით გელიაშვილი) ; საქმე N2/2513–06წ (კვლევის კოდი 2.2.8) – **400**ლარი (თბილისის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ნუგზარ ბელქანია); საქმე N2/13568–06წ (კვლევის კოდი 2.5.6) –**80**ლარი (თბილისის საქალაქო სასამართლო - ექსპერტი ი. ჭელიძე);

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული N2/573–05 წ საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს განჩინებით დანიშნული იყო გრაფიკული ექსპერტიზა (კვლევის კოდი 1.2.1) და წარმოდგენილია აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ. დეპარტამენტში კი წარმოდგენილია ფორმა N5, რომლის მიხედვითაც ჩატარებულია სტაციონალური ფსიქიატრიული ექსპერტიზა (კვლევის კოდი 5.1.2) და გადარიცხულია ექსპერტიზის ბიუროში **180** ლარი. ექსპერტებად მითითებულია მაღრაძე, ჭეიშვილი და ნიკოლოზიშვილი;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული N2/84–05წ (ახალი N2/889–06წ.) საქმის მასალების მიხედვით, სასამართლოს განჩინებით საბუღალტრო ექსპერტიზის (კვლევის კოდი 2.1.1) ღირებულების გადახდა დაეკისრა შპს „საქართველოს რკინიგზას“. დასკვნა შედგენილია 2006 წლის 3 აგვისტოს. ფორმა N5, **1100** ლარის საექსპერტო მომსახურების გადახდაზე დეპარტამენტში წარდგენილია 7 თვის შემდეგ 2007 წლის მარტის თვეში, რის

საფუძველზეც განხორციელდა გადარიცხვა ექსპერტიზის ბიუროს ანგარიშზე (ექსპერტები მ. ბექაური, გ. გიგუაშვილი);

საქმეების შერჩევითი შესწავლით (185 საქმე) დადგინდა, რომ სასამართლო-საექსპერტო მომსახურების მიხედვით დეპარტამენტის მიერ ზედმეტად არის ანაზღაურებული **37 075** ლარი (33 საქმე). დანარჩენ 152 საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დანიშვნის განჩინებები და საექპერტო დასკვნები შესაბამისობაშია ექსპერტიზის ბიუროს მიერ წარმოდგენილ ფორმა N5-ებთან.

სხვა ხარჯები

2006 წელს გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა - 86.9 ათასი ლარს. მათ შორის: განცხადების გამოქვეყნება 14.6, შენობის რეკონსტრუქციის პროექტირება 37.0, რეკლამის ხარჯები 4.8, დარბაზის დაქირავება 7.5 და სხვადასხვა (საინფორმაციო ბუკლეტები,სწავლა, წიგნები, ეზოს მოწყობა) - 23.0 ათასი ლარი.
2007 წელს - 80.5 ათასი ლარს.მათ შორის: დასუფთავების მოსაკრებელი 14.0, რეკლამის ხარჯები 19.0, დარბაზის დაქირავება 2.5, ენის კურსები 3.2, განცხადების გამოქვეყნება 8.7, სათარჯიმნო მომსახურება 6.6, სხვადასხვა 26.5 ათასი ლარი.
2008 წელს - 55,9 ათას ლარს. მათ შორის: მოსამართლეთა დაზღვევის ხარჯები - 46.5 ათას და დასუფთავების მოსაკრებელი - 9.4 ათას ლარს.
2009 წელს გაწეული საკასო ხარჯი შეადგენდა 114.8ათას ლარს. მათ შორის: მოსამართლეთა დაზღვევის ხარჯები - 99.4 ათას და დასუფთავების მოსაკრებელი - 15.4 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების ზრდა

2006 წელს გაწეული იქნა 10,789.4 ათასი ლარის კაპიტალური ხარჯი. მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე - 5,674.2 ათასი ლარი (განხორციელდა 21 სასამართლო შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება), საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეძენაზე-3,173.0, სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენაზე (14 ერთეული) - 154.5, მანქანა-დანადგარებისა და შენობ/ნაგებობების კაპიტალურ შეკეთებაზე - 1,787.5 ათასი ლარი.
2007 წელს გაწეული იქნა 9,319.2 ათასი ლარის კაპიტალური ხარჯი. მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე - 6.629.6 ათასი ლარი (განხორციელდა 13 სასამართლო შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება), საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეძენაზე-2,339.5, სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენაზე (7 ერთეული) - 311.2, მანქანა-დანადგარებისა და შენობ/ნაგებობების კაპიტალურ შეკეთებაზე - 38.9 ათასი ლარი.
2008 წელს არაფინანსური აქტივების ზრადაზე მიმართული იყო 6,802.7ათასი ლარი, მათ შორის, არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე - 5,054.6 ათასი ლარი (განხორციელდა 18 სასამართლო შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება),საოფისე ინვენტარისა დატექნიკის შეძენაზე-1,210.9, სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენაზე (11

ერთეული)-281.4, კომპიუტერული და სხვა სახის პროგრამების შეძენაზე - 255,8 ათასი ლარი.

2009 წელს -სულ გაწეულია 6,740.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის:13 სასამართლოს შენობის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3,809.2 ათასი, საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეძენაზე-2,220.8, სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენაზე (11 ერთეული) -84.3, კომპიუტერული და სხვა სახის პროგრამების შეძენაზე - 626.2 ათასი ლარი.

სასამართლოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები

აუდიტის პერიოდში განხორციელებულია 65 სასამართლოს შენობის 21,206.6 ათასი ლარის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება (2006 წელს-5,674.2 ათასი; 2007 წელს-6,629.6 ათასი; 2008 წელს-5,099.4 ათასი (მ.შ .81.1 ათასი ლარის დეპარტამენტის შენობაზე და 44.8 ათასი ლარის სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის"), 2009 წელს -3,803.4 ათასი ლარის).

დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია ეკონომიკური განვითარების სამინიტროს 2005 წლის 19 დეკემბრის N 1-1/1225 ბრძანება „აგრარული ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შენობაში (აღმაშენებლის ხეივანი N6) ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განთავსების შესახებ". 2005 წლის 22 დეკემბერს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი უძრავი ქონების მოვლა-პატრონობის ვალდებულებით ჩაბარების თაობაზე. აღნიშნული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენი" დაწყებული იყო 2006 წელს, თუმცა სამუშაოებისათვის დემონტაჟი ჩატარებულია შესაბამისი ორგანოს ნებართვის გარეშე, მაშინ როცა მოქმედი წესების შესაბამისად ჩამოწერის აქტების დამტკიცებამდე დემონტაჟი შესაბამისი ორგანოს ნებართვის გარეშე არ დაიშვება[9].

ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი ბალანსზე რიცხული სხვა შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე ნებართვები, გარდა ხარაგაულის და ხულოს სასამართლოს შენობებისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის განთავსების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2005 წლის 22 დეკემბერს, დემონტაჟი და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარებულია 2006 წელს, ხოლო შენობა ბალანსზე აყვანილია 2007 წლის იანვარს 235.4 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2006 და 2007 წლებში გაწეულია 7,211.2 ათასი ლარის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც გატარებულია მიმდინარე ხარჯებში (200 ანგ-ზე) და 2007 წლის ბალანსში არ არის ასახული როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა (ან დასრულებული სამუშაოების მიხედვით შენობის კაპიტალიზაცია). 2009 წლის 31

---

[9] არ იქნა შესრულებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკენბრის N1278 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" მე-13 მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მოთხოვნა.

დეკემბრისათვის კი აღიარებულია მხოლოდ 943.2 ათასი ლარის ღირებულება, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა.

აღნიშნულ შენობაზე 2006 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება წარმოდგენილი ფორმა N2-ის მიხედვით შეადგენს 2,023.8 ათას ლარს, 2007 წელს - 5,187.4 ათას ლარს, ხოლო 2008 წელს - 824.9 ათას ლარს. სულ აუდიტის პერიოდში შესრულებულია 8,036.1 ათასი ლარის ღირებულების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. საექსპერტო დასკვნები წარმოდგენილია 3,008.8 ათას ლარზე, ხოლო 5,027.3 ათას ლარის ღირებულების სამუშაოებზე ექსპერტიზა აუდიტის მიმდინარეობისას არ იყო დასრულებული. თუმცა,შესრულებული სამუშაოების ღირებულება სრულად არის ანაზღაურებული. შესაბამისად, მომწოდებლისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დადგენის შემთხვევაში, თანხის დაბრუნებისათვის ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი.

დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა პირველადი და აუცილებელი დოკუმენტაცია აღნიშნული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე (დეფექტური აქტები, პირველადი აზომვითი ნახაზები, დამტკიცებული და შეთანხმებული პროექტი, მშენებლობის ნებართვა, 2006 წლის N59-ე შესყიდვების ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა 3,029.5 ათასი ლარზე).

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში სხვადასხვა მომწოდებლების ხარჯთაღრიცხვებში და წარმოდგენილ ფორმა N2-ებში დამატებით ჩართული იყო სოციალურიგადასახადი(2008 წელს), მაშინ როდესაც სოციალური გადასახადი 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმებული იყო. აღნიშნულის გამო დეპარტამენტის მიერ ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 19,690ლარი(შპს „ტექნოტერმი“ -4,652.79 ლარი, შპს „კოლიზიუმი“- 15,037.13 ლარი).

ამასთან, 2008 წელს ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენისა” (2008წლის 25 თებერვლის N142 ხელშეკრულებით - ანაზღაურებულია 824,890 ლარი, მ.შ. დღგ 125,830 ლარი) და შპს „ER გრუპის” (2008 წლის 17 ივლისის N337 ხელშეკრულებით -ანაზღაურებულია 36,630 ლარი, მ.შ. დღგ 5,587 ლარი) მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებს (ფორმა-2) არ ახლავს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, თუმცა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-6 პუნქტის თანახმად ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურა[10].

სულ აუდიტის პერიოდში გაწეულია 124,977.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი(სსიპ - „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ასიგნებების - 2,654.7 ათასი ლარის ჩათვლით). მათ შორის შესაბამის წლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით, საკასო შესრულებამ მთლიან გადახდებთან მიმართებით შემდეგი სახე მიიღო:

---

[10]შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 14 თებერვლის N84 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

01/04/2006-31/12/2006- 23,374.7ათასი ლარი



2007 – 30,242.1 ათასი ლარი



2008 - 34,441.1 ათასი ლარი



2009 – 36,919.9 ათასი ლარი



სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან

2006 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 იანვრამდე სასამართლოს დადებული აქვს 1,962 ხელშეკრულება 53,852.8 ათას ლარზე, მათ შორის შესყიდვის საშუალებების მიხედვით:

ათას ლარებში

შესყიდვის საშუალება	2006 წელი		2007 წელი		2008 წელი		2009 წელი	
	ხელშეკ.რა ოდენ-ბა	სახელ-ბო თანხა	ხელშეკ.რა ოდენ-ბა	სახელ-ბო თანხა	ხელშეკ.რა ოდენ-ბა	სახელ-ბო თანხა	ხელშეკ.რა ოდენ-ბა	სახელ-ბო თანხა
ტენდერი	54	13,992.6	38	9,503.3	48	8,650.5	48	8,484.4
ფასთა კოტირება	15	640.9	7	327.8	14	560.5	4	275.8
ერთ პირთან მოლაპარაკება	389	4,515.6	432	1,598.5	445	2,310	475	3,536.3
ჯამი	458	19,149.1	477	11,429.6	507	11,521	527	12,296.5

2006-2009 წლებში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შესყიდვები ძირითადად შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლინდა დარღვევები, მაგალითად:

2006 წლის 22 დეკემბერს, ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენთან“ (ტენდერის საშუალებით) გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N628, თანხით 4,598.865 ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლო შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 15 ივლისი.

2007 წლის 8 თებერვლის ურთიერთშეთანხმებით N79 სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბერი.

ხოლო, 2007 წლის 10 მაისის N224 ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების თანახმად დაემატა:

1. ქვედა სართულების სივრცეში, რკინა-ბეტონის სვეტებში არსებული კონსტრუქციული დაზიანებების აღმოფხვრითი სამუშაოები - 212,265 ლარი;
2. სხდომათა დარბაზების იატაკის ერთიან დონეზე მოყვანა - 26,977 ლარი.

აღნიშნული ურთიერთშეთანხმებით გაზრდილია სახელშეკრულებო ღირებულება, თუმცა საკითხი სააგენტოსთან არ ყოფილა შეთანხმებული.წარმოდგენილი ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენის“ ფორმა N2-ითა და სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნებით (N1716/15, N2021/15-1) ზემოაღნიშნული სამუშაოები ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენს“ შესრულებული ჰქონდა უკვე 2007 წლის მარტის თვეში, თანხით 57,163 ლარი და 2007 წლის აპრილის თვეში - 7,192 ლარი. თუმცა, სსიპ „კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის“ დასკვნა არსებული კონსტრუქციული დაზიანებების აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ დეპარტამენტს გაეგზავნა სამუშაოების ჩატარების შემდგომ (2007 წლის 2 აპრილს N141-02-07).

ს.ს.„ჰიდროსპეცგვირაბმშენის“ მიერ წარმოდგენილია შესრულებული სარემონტო სამუშაოების შესახებ ფორმა N2, თანხით 4,837.6 ათასი ლარი, სადაც ნაჩვენებია გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება თანხით 123.2 ათასი ლარი, რომელიც გაშიფრული არ არის (გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებები წარმოდგენილია შერჩევითი აზომვების ჩატარებისას). ს.ს. „ჰიდროსპეცგვირაბმშენისათვის" თანხები ანაზღაურებულია სრულად.

2009 წლის 13 აგვისტოს, შპს "მთაწმინდა-2007"-თან (ტენდერის საშუალებით) გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N538, თანხით 317 242 ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ხულოს რაიონული სასამართლო შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 15 დეკემბერი.

წარმოდგენილი შესრულებული სარემონტო სამუშაოების შესახებ 2009 წლის 3 დეკემბერის ფორმა N2-ით, ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ნაცვლად შესრულებულია იგივე თანხის (3,175 ლარი) სხვა სახის სამუშაოები. თუმცა, ურთიერთშეთანხმება N759 შედგენილია დაგვიანებით 2009 წლის 25 დეკემბერს (სამუშაოების დასრულების შემდგომ).

2009 წლის 27 თებერვლის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, სასამართლო შენობებში სამეურნეო მომსახურეობის შესყიდვაზე (მე-II და მე-VI ლოტში) გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს „დოქტორ ზაუბერი". გამარჯვებული პრეტენდენტის

შპს „დოქტორ ზაუბერის" სატენდერო წინადადება ძალაშია 2009 წლის 20 თებერვლიდან 45 დღის განმავლობაში, ხოლო სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია ძალაშია 2009 წლის 21 აპრილამდე. „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

იმავე სხდომის ოქმის მიხედვით, სასამართლო შენობებში სამეურნეო მომსახურების შესყიდვაზე (მე-I და მე-V ლოტში) გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს „სუფთა სამყარო". შპს „სუფთა სამყაროსთან" 2009 წლის 27 თებერვალს დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა 231110 ლარი, ხოლო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 3% საბანკო გარანტია წარმოდგენილია 6000 ლარზე, ნაცვლად 6933 ლარისა,[11] თუმცა სატენდერო კომისიას უფლება ჰქონდა მოეხდინა ტენდერში გამარჯვებულის დისკვალიფიკაცია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

---

[11] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნები.